მე შევფიცე ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და დავადასტურე, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა, და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია, და შევფიცე, რომ აღვასრულებ ლოცვას, გავიღებ ზაქათს, დავემორჩილები და მოვუსმენ მუსლიმთა მმართველებსა და წინამძღოლებს და რჩევადარიგებით მოვეპყრობი ყოველ მუსლიმს

გადმოცემულია ჯარირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: "მე შევფიცე ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და დავადასტურე, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი ალლაჰის გარდა, და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია, და შევფიცე, რომ აღვასრულებ ლოცვას, გავიღებ ზაქათს, დავემორჩილები და მოვუსმენ მუსლიმთა მმართველებსა და წინამძღოლებს და რჩევადარიგებით მოვეპყრობი ყოველ მუსლიმს".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

საჰაბა ჯარირ იბნ აბდულლაჰი ყვება, რომ მან მიიღო ვალდებულება და ფიცი დაუდო მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთღმერთიანობის პრინციპზე (თაჰვიდზე) და დღეში ხუთი სავალდებულო ლოცვის შესრულებაზე ყველა მათი პირობის, სვეტების, ვალდებულებებისა და სუნნეთების დაცვით. ასევე, მან ივალდებულა დაწესებული ზაქათის გადახდა, რომელიც ფინანსური ვალდებულებაა: მისი შეგროვება მდიდრებისგან და გადაცემა ღარიბებისთვის და სხვა იმათთვის, ვინც მას იმსახურებს. ფიცი მოიცავდა მმართველზე მორჩილებასა და მრჩევლობას თითოეული მუსლიმისთვის, რაც გულისხმობს მისთვის სარგებლის მოტანაზე ზრუნვას, სიკეთის გადაცემას და ზიანის მოშორებას სიტყვითა და მოქმედებით.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3512